ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კოლეგიის თავმჯდომარე: ია გაბედავა

კოლეგიის წევრი: არჩილ ჩოფიკაშვილი

კოლეგიის წევრი: ბესარიონ ბოხაშვილი

საჩივრის ავტორი: ნ. მ.

საჩივრის ეთიკის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 23.08.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 119/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ფ. ს.-ს მიმართ /სიითი№/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ფ. ს.-ს მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 24 აგვისტოს მომართა საჩივრის ავტორმა „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ ფ. ს.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2018 წლის 25 ოქტომბერს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა კომისიას წარუდგინა ზეპირი ახსნა-განმარტება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ნავთლუღის ბაზრის ტერიტორიაზე მის მფლობელობაში არსებული პატარა ჯიხური დაიწვა, რის გამოც მასსა და ბაზრის დირექტორს შორის დაიწყო სამოქალაქო დავა. ნ. მ.-ს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, თავისი უფლებების დაცვის მიზნით, სჭირდებოდა საადვოკატო მომსახურება, რისთვისაც მან მიმართა ადვოკატ ფ. ს.-ს. საჩივრის ავტორმა ადვოკატს გადასცა გორში მდებარე იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტების მიერ შედგენილი სარჩელი და საქმის მასალები. ადვოკატმა ფ. ს.-მ „გულთან მიიტანა მისი ამბავი", მოიწონა სარჩელი, გადახედა საქმის მასალებს და გაუწია კონსულტაცია.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა განუცხადა, რომ ის შეხვდა ნავთლუღის ბაზრის დირექტორს და მის ადვოკატს, ესაუბრა მათ საქმესთან დაკავშირებით და შესაძლებელი იყო მხარეებს შორის შემდგარიყო მორიგება. ნ. მ.-მ ადვოკატს უთხრა, რომ ის დათანხმდებოდა, თუმცა საბოლოოდ, მის სასარგებლოდ მაინც არ მოგვარდებოდა საქმე, ამასთან, მეორე საქმე ეხებოდა ბაზრის ტერიტორიაზე არსებული მაღაზიიდან წილის საკითხს, რაზეც ბაზრის დირექტორთან შეთანხმება ვერ მოხდებოდა, რადგან, მოდავე მხარე იყო ა. ა.. შესაბამისად, ნ. მ.-მ უარი განაცხადა მორიგებაზე.

1.4 ადვოკატი ფ. ს. ძალიან დაკავებული იყო, რის გამოც, მან საჩივრის ავტორს განუმარტა, რომ მის საადვოკატო მომსახურებას გააგრძელებდა „ძალიან ძლიერი“ ადვოკატი ნ. ი..

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ ფ. ს.-ს მისი საქმე არ უნდა გადაებარებინა ადვოკატ ნ. ი.-სთვის, რომელმაც არ გაუწია მას შესაბამისი დახმარება და მოულოდნელად, სასამართლო სხდომის გამართვამდე რამდენიმე დღით ადრე, უარი თქვა სასამართლოში მის წარმომადგენლობაზე. საჩივრის ავტორის განმარტებით, ნ. ი.-მ ადვოკატ ფ. ს.-ს თანდასწრებით გადასცა ხელწერილი იმის თაობაზე, რომ უარს ამბობდა საადვოკატო მომსახურების გაწევაზე.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2018 წლის 10 სექტემბერს ადვოკატმა ფ. ს.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვით, მან ნ. მ. გაიცნო ადვოკატთა ასოციაციის სათაო ოფისში ზ. ხ.-ის მეშვეობით.

2.2 ადვოკატს ნ. მ.-მ განუცხადა, რომ მას პირველი ინსტანციის სასამართლოში სამოქალაქო დავასთან დაკავშირებით, შეტანილი ჰქონდა სარჩელი, თუმცა საქმის განხილვის ეტაპზე სჭირდებოდა საადვოკატო მომსახურება. ადვოკატმა ფ. ს.-მ საჩივრის ავტორს განუმარტა, რომ შესაძლებლობის ფარგლებში გაუწევდა მას იურიდიულ დახმარებას საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპზე.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მან დაპირებისამებრ გაუწია წარმომადგენლობა ნ. მ.-ს პირველი ინსტანციის სასამართლოში, მოსამზადებელ სხდომაზე, რა დროსაც, გაირკვა, რომ ნ. მ.-ს მიერ წარდგენილი სარჩელი საჭიროებდა დაზუსტებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას უნდა გაეხმო სარჩელი.

2.4 ადვოკატმა ნ. მ.-ს განუმარტა, რომ ის გაეცნობოდა საქმის მასალებს და გაუწევდა შესაბამის კონსულტაციას, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ის ძალიან დაკავებული იყო, საქმეს გადააბარებდა მის მეგობარს - ადვოკატ ნ. ი.-ს, რომელიც თავის მხრივ, შეისწავლიდა ნ. მ.-ს საქმესთან დაკავშირებულ დოკუმენტებს, საჯარო რეესტრში არსებულ მასალებს და შემდგომში, მას გაუწევდა სამართლებრივ კონსულტაციას სასამართლოში საქმის წარმართვის თაობაზე.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ადვოკატმა ნ. ი.-მ გულთან მიიტანა ნ. მ.-ს მდგომარეობა, გიათვალისწინა მისი თხოვნა და ის თვეების განმავლობაში სრულიად უანგაროდ უწევდა

საადვოკატო მომსახურებას, რაც მოიცავდა სასამართლოში მტკიცებულებების წარდგენას, საჯარო რეესტრში და არქივში დაცული მასალების შესწავლას.

2.6 ადვოკატებმა ფ. ს.-მ და ნ. ი.-მ საქმის მასალების შესწავლის, მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევის შემდგომ, ნ. მ.-ს განუმარტეს, რომ საქმისწარმოების სასამართლოში გაგრძელებას საიმედო პერსპექტივა არ ჰქონდა, თუმცა ნ. მ. დაჟინებით მოითხვდა, რომ გამოსავალი მოეძებნათ და უარი არ ეთქვათ მისთვის საადვოკატო მომსახურების განხორციელებაზე, რის თაობაზეც ადვოკატებმა განუმარტეს, რომ მას ჰქონდა საკმარისზე მეტი დრო და შეეძლო სხვა ადვოკატის მოძებნა ან მიემართა სახაზინო ადვოკატისთვის.

2.7 ადვოკატის განცხადებით, მას ნ. მ.-მ სთხოვა, რომ პირვანდელი სარჩელი უცვლელი სახით წარედგინათ სასამართლოში ხელმეორედ. ნ. მ.-მ წაიკთხა ახალი სარჩელი და ადვოკატი ფ. ს.-ს დახმარებით ჩააბარა სასამართლო კანცელარიაში, რის შემდგომაც, ნ. მ.-მ ადვოკატებს განუცხადა, რომ მათ მიმართ არ ჰქონდა პრეტენზია და ის სხვა ადვოკატს მიმართავდა დასახმარებლად. ადვოკატის განცხადებით, მან სრულიად უანგაროდ გაუწია საადვოკატო მომსახურება ნ. მ.-ს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ფ. ს. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი№/ სპეციალიზაცია - საერთო სამართალი. ადვოკატის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 ნ. მ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 23 აგვისტოს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2016 წელს. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ფ. ს.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ფ. ს.-მ საჩივრის ავტორის საქმე საადვოკატო მომსახურების განხორციელებისთვის გადააბარა ადვოკატ ნ. ი.-ს.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი: „კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა"

5.3 ადვოკატმა საადვოკატო მომსახურება ნდობის პრინციპის შესაბამისად უნდა განახორციელოს, მათ შორის კლიენტის საქმესთან დაკავშირებით იმოქმედოს იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს კლიენტის ინტერესებს. ,,ადვოკატისადმი კლიენტის ნდობის დამკვიდრება, მათ შორის მომავალი საქმიანი ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და გაგრძელების საფუძველია. კლიენტს ადვოკატის პიროვნული და საქმიანი თვისებების გათვალისწინებით უყალიბდება იმის რწმენა, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად მიუდგება მისდამი მინდობილ საქმეს და დაიცავს მის ინტერესებს. შესაბამისად, ადვოკატი არ უნდა მოქმედებდეს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობის საკითხი და ჩრდილი მიაყენოს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში დამკვიდრებულ მაღალ შეხედულებას. აღნიშნულს მოითხოვს ადვოკატთა პროფესიის კორპორატიული არსი" (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 077/13, 12 ივნისი 2014 წელი).

5.4 განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორსა და ადვოკატ ფ. ს.-ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დაიწყო 2016 წელს (2016 წლის 05 სექტემბრის მინდობილობა, ს.ფ. 06). შეთანხმების შესაბამისად, ადვოკატს უნდა წარედგინა ნ. მ.-ს ინტერესები თბილისის საქალაქო სასამართლოში სამოქალაქო საქმეზე. საჩივრის ავტორი ადასტურებს, რომ ადვოკატმა ფ. ს.-მ გაიზიარა მისი მდგომარეობა და გაუწია მას სამართლებრივი კონსულტაცია, თუმცა მისი გადატვირთული საქმიანობიდან გამომდინარე, საქმე საწარმოებლად გადააბარა სხვა ადვოკატს. საჩივრის ავტორი თავის პრეტენზიაში უთითებს, რომ ადვოკატ ფ. ს.-ს არ უნდა გადაებარებინა საქმე საწარმოებლად ადვოკატ ნ. ი.-სთვის, რადგან მან არ გაუწია შესაბამისი საადვოკატო მომსახურება და არ წარმოადგინა მისი ინტერესები სასამართლო სხდომებზე, შემდგომ, კი მოულოდნელად, თავისი ინიციატივით უარი თქვა საადვოკატო მომსახურების გაწევაზე.

5.5 ადვოკატ ფ. ს.-ს პოზიციიდან ირკვევა, რომ მან შესთავაზა ნ. მ.-ს ადვოკატ ნ. ი.-ს საადვოკატი მომსახურება და თავის მხრივ, ადვოკატმა შეთანხმების შესაბამისად, გაუწია ნ. მ.-ს იურიდიული დახმარება, (იხ.პუნქტი 2.5-2.7). ადვოკატი განმარტავს, რომ ნ. მ.-ს არ გამოუთქვამს რაიმე პრეტენზია მისი ან ადვოკატ ნ. ი.-ს მიმართ.

5.6 კოლეგიამ დისციპლინური საქმის გამოკვლევისთვის და ადვოკატ ფ. ს.-ს ქმედებების შესწავლისთვის, 2018 წლის 26 ოქტომბერს მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, 2018 წლის 16 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ნ. მ.-ს საქმის #2/XXXXX-16 მასალების მიწოდება. საქმის მასალების გამოთხოვის თაობაზე სასამართლო ორგანოებიდან ინფორმაციის მიუღებლობის გამო, კომისიამ 2019 წლის 11 თებერვალს მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, რომლისგანაც კომისიამ მიიღო ნ. მ.-ს საქმის #2/XXXXX-16 მასალები.

5.7 კომისიაში წარმოდგენილი საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ადვოკატმა ფ. ს.-მ საჩივრის ავტორს გაუწია საადვოკატო მომსახურება, მათ შორის შეისწავლა საქმის მასალები და 2013 წლის 13 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ მოსამზადებელ სხდომაზე წარმოადგენდა ნ. მ.-ს ინტერესებს (სხდომის ოქმი საქმე 2-XXXXX-16, ს.ფ. 141). აღნიშნულ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელეს - ნ. მ.-ს მიეცა 10 დღის ვადა დაზუსტებული სასარჩელო განცხადების წარმოსადგენად, რის გამოც სხდომა გადაიდო (ს.ფ. 147). აღნიშნულის შემდგომ, ნ. მ.-ს საქმეში ჩაერთო ადვოკატი ნ. ი. ნ. მ.-სთან შეთანხმების შესაბამისად.

5.8 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა ნდობის პრინციპს უნდა ემყარებოდეს. კლიენტი მიმართავს ადვოკატს და ანდობს მისი საქმისწარმოებას იმის გათვალისწინებით, რომ ის პატიოსნად და ღირსეულად აწარმოებს მის საქმეს და არ განახორციელებს ისეთ ქმედებას, რაც კლიენტის ინტერესებისათვის იქნება საზიანო. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა ფ. ს.-მ მიაწოდა ინფორმაცია საჩივრის ავტორს, რომ ის ვერ შეძლებდა დროის უქონლობის გამო, სრულყოფილად საადვოკატო მომსახურების გაწევას, რის გამოც, საქმის წარმოების გაგრძელების მიზნით, ნ. მ.-ს გააცნო სხვა ადვოკატი - ნ. ი. და თავის მხრივ, საჩივრის ავტორს არ უთქვამს უარი ადვოკატ ნ. ი.-ს იურიდიულ მომსახურებაზე.

5.9 კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატის პროფესიულ პასუხისმგებლობას არ წარმოადგენს, მისი ინიციატივით კლიენტის საქმეში ჩართული სხვა ადვოკატის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურება, რამდენად იქნება კვალიფიციურად შესრულებული. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის მიერ გამოთქმული პრეტენზიები არ იძლევა საკმარის დასაბუთებულ ვარაუდს, იმისათვის, რომ შეფასდეს ადვოკატ ფ. ს.-ს მიერ ნდობის პრინციპის შესაძლო დარღვევა.

5.10 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-33-ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №119/18 ადვოკატ ფ. ს.-ს მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/